რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები
2015 წლის შეჯამება

დაიჯესტი

როგორი იყო 2015 წელი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებთან მიმართებაში?! რა მნიშვნელოვანი სიახლეები განხორციელდა აღნიშნული სფეროს განსავითარებლად. პრობლემატური საკითხების პრევენციისთვის წინ გადადგმული ნაბიჯები; სირთულეები და ხარვეზები რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებს მოგვარებას...

ჩვენ 2015 წელს ვაჯამებთ. ჰერა XXI-ეს მიერ მომზადებულ წლიურ დაიჯესტში ასახულია ასოციაციის მიერ წელს განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები და ღონისძიებები. დოკუმენტში ასევე მოცემულია ინფორმაცია საქართველოს ხელისუფლების, სახალხო დამცველისა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებული აქტივობები.

ასოციაცია ჰერა XXI-ეს მიერ, 2015 წელს განხორციელებული, ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეები

კოალიცია

- 2015 წელს მოხდა ასოციაცია ჰერა XXI-ეს ინიციატივით შექმნილი კოალიციის ,,რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისთვის" ფორმირება. კოალიციის შექმნის იდეა წლების წინ გაჩნდა; 2015 წელს კი მოხდა კოალიციის წევრ ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება.

კოალიციის შექმნის საჭიროება გამოიწვია საკანონმდებლო დონეზე არსებულმა ბარიერებმა და გამოწვევებმა. არათანაბარმა ხელმისაწვდომობამ რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. კოალიციის მიზანია საქართველოში ყველა ქალს მიუწვდებოდეს ხელი სრულფასოვან რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, ჰქონდეს ინფორმირებული არჩევანისა, ჯანმრთელობის მართვის უფლება და შესაძლებლობა.

კოალიციაში გაერთიანებული არიან სამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები, ქალთა და ადამიანის უფლებების დაცვასა და გენდერულ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები. ასევე მასმედიის და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დღესაც კოალიცია ღიაა და იწვევს ნებისმიერ ორგანიზაციას რომელიც იზიარებს ჩვენს მიზანს და სურს აღნიშნულ პრობლემებზე აქტიური მუშაობა და ადვოკატირება.

კოალიციის პირველი პროექტი- საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა

კოალიციამ დაარსებიდან უმოკლეს ხანებში შეძლო მოეპოვებინა ,,ქალთა ფონდ საქართველოში”-ს გრანტი.

იქიდან გამომდინარე, რომ მედია ინფორმაციის გავრცელების საუკეთესო საშუალება, ხოლო ჟურნალისტებს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია და თემის მიმართ არ გამოხატავენ დაინტერესებას, კოალიციამ საჭიროდ მიიჩნია ჟურნალისტების დატრენინგება რეპროდუქციულ ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე.

ასევე გამოცხადდა კონკურსი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებზე მომზადებული საუკეთესო სტატია-სიუჟეტის გამოსავლენად. ჟურნალისტების წასახალისებლად და სრულყოფილი მასალების მოსამზადებლად დაწესდა წამახალისებელი პრიზები.

ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ვიდეო-რგოლი, რომელიც მიმართულია გადაწყვეტილების მიმღები პირებისადმი რათა მათ მეტი ყურადღება მიაქციონ უფლებებისა რელიზებასა და მათ მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

ვიდეო-რგოლი: https://www.youtube.com/watch?v=zt-zZ4XwGNk

- ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა საკანონმდებლო ბაზის მიმოხილვა. კოალიციის წევრებმა და მოწვეულმა ექსპერტებმა, რეპროდუქციული უფლებების სფეროში არსებული კანონმდებლობა შეისწავლეს და მისი ანალიზი მოახდინეს.

  ექსპერტებმა განიხილეს რეპროდუქციული უფლებები და მათი რეალიზაციის გარანტიები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და შეადარეს საერთაშირისო სტანდარტებს. რის საფუძველზეც მოხდა სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული ხარვეზების აღმოფხვრისათვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

  კვლევამ აჩვენა რომ რეპროდუქციული საკითხები ქვეყნის კანონმდებლობაში ფორმალურად არის ასახული. კანონმდებლობა მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას. მკვლევართა საერთო აზრია, რომ ქვეყანა საჭიროებს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით ახალი პოლიტიკის ჩამოყალიბებას რაც პირველ ეტაპზე ერთიანი პოლიტიკური დოკუმენტის შექმნას და საკანონმდებლო ცვლილებებს ინიცირებას გულისხმობს.

  მომზადებული პულიკაცია განთავსებულია ასოციაცია ჰერა XXI-ს ვებ-გვერდზე:

  http://hera-youth.ge/index.php?m=50&news_id=122

ექიმების გადამზადება

ასოციაცია ჰერა XXI-თვის კვლავინდებურად ინტერესის სფეროს წარმოადგენს ექიმების უნარების გაძლიერება და მათი გადამზადება. პირველადი ჯანდაცვა თავად სახელმწიფოს პრიორიტეტსაც წარმოადგენს. იქიდან გამომდინარე რომ ოჯახის ექიმი პირველადი რგოლია რომელსაც პაციენტთან ურთიერთობა უწევს ვთვლით, რომ მას უნდა ჰქონდეს სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაცია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე.

სწორედ ამიტომ ასოციაციის ორგანიზებით სამეგრელოს რეგიონის ოჯახის ექიმებისთვის ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგის თემა ,,კონსულტირება და ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები" გახლდათ. დაბა ანაკლიაში გამართულ ღონისძიებაში - ზუგდიდის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ფოთის, მარტვილის, სენაკისა და ხობის ოჯახის 16 ექიმები იღებდნენ მონაწილეობას. ორ დღიანი ღონისძიების ფარგლებში ექიმებს მიეწოდათ ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობის მნიშვნელობაზე, უსაფრთხო დედობაზე, უსაფრთხო აბორტსა და კონტრაცეფციის თანამედროვე მეთოდებზე, ასევე პაციენტთან ურთიერთობისა და კონსულტირების უახლეს ტექნოლოგიებზე, სწორ რეფერალზე.

სამეგრელოს რეგიონში ჩატარებულმა შეხვედრებმა გამოავლინა ოჯახის ექიმების მომზადების დონე, მზაობა- ახალი ინფორმაციის მიღებისა და ახალი მეთოდების გამოყენების, რომელიც მიმართული იქნება - მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ტრეინინგის მსვლელობის პროცესში გაირკვა, რომ რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პაციენტების მიმართვიანობა ოჯახის ექიმებთან- მაღალია. სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებზე, უსაფრთხო აბორტსა თუ მათ რეპროდუქციულ უფლებებზე - საზოგადოების მხრიდან ინფორმაცია მოთხოვნადია.

ვრცლად: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=118

ჯგუფი ,,PAPA”

ასოციაცია ჰერა XXI-ეს მიერ შექმნილი ჯგუფი ,,Positive Attitude Positive Action" - ,,პოზიტიური დამოკიდებულება, პოზიტიური ქცევა", რომელიც აივ ინფიცირებულების სათემო ჯგუფს წარმოადგენს, წელსაც აქტიურად მუშაობდა. 2015 წელს ჯგუფი გაფართოვდა, რამდენიმე ახალი წევრი შეემატა და სამოქმედო სტრატეგიული დოკუმენტი შეიმუშავა.

2015 წელს ,,პაპა” ჯგუფის წევრების უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად , ჰერა XXI-ემ არაერთ მნიშვნელოვან ტრენინგს გაუკეთა ორგანიზება.

ყველა ღონისძიება მიმართულია შემდეგი მიზნებისკენ: აივ ინფიცირებულებმა შეძლონ: თვითსტიგმის დამარცხება, თავიანთი უფლებების დაცვა და ამ უფლებებით სარგებლობა. ჯგუფის მუშაობის მთავარი მიმართულებაა აივ-ინფიცირებულთა პრობლემების გამოვლენა, მათი ანალიზი და რელევანტური პროგრამების შექმნა.

ასოციაცია ,,ჰერა XXI” PAPA ჯგუფისთვის უზრუნველყოფს კონფიდენციალურ, კომფორტულ და მეგობრულ გარემოს. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ასოციაციის შიდა პოლიტიკით და რეგულაციით.

რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვირეული

26 სექტემბერი კონტრაცეფციის საერთაშორისო დღეა;
28 სექტემბერი კი უსაფრთხო, ლეგალურ აბორტზე ხელმისაწვდომობის.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ამ ორ მნიშვნელოვან თარიღთან დაკავშირებით ასოციაცია ჰერა XXI ,,რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვირეული" გამართა.

ასოციაციის თანასწორ-განმანათლებლებმა პრომო-აქცია გამართეს სახელწოდებით ,,ეს შენი ცხოვრებაა, ეს შენი მომავალია". თბილისისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტების სტუდენტებს დაურიგდათ სიმბოლური საჩუქრები და მიეწოდათ ინფორმაცია თუ როგორ უნდა დაიცვან თავი არასასურველი ორსულობისგან, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისგან... აქციის შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდები რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობენ და მიუხედავად იმისა, რომ საჭიროება არსებობს შესაბამის კეთილგანწყობილ,მეგობრულ სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ.

ახალგაზრდების მსგავსად შესაბამის სერვისებზე ხელი არ მიუწვდებათ იძულებით გადაადგილებულ პირებსაც. ასოციაციის ექიმი-რეპროდუქტოლოგი მათ კომპაქტური ჩასახლების ადგილებში (წეროვანი, თბილისის ზღვა) ეწვიათ. ოჯახის დაგეგმვა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები, ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის სწორად მიწოდება - სწორედ ის საკითხებია რაზეც ექიმსა და დევნილ ქალბატონებს შორის შედგა საუბარი.

ჩვენ ვთვლით, რომ რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირების პროცესში მედიის ჩართულობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მედია საუკეთესო საშუალებაა გაავრცელოს სწორი ინფორმაცია საზოგადოების ფართო მასებში და მაყურებლამდე მიიტანოს ინფორმაცია რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების მნიშვნელობაზე. სწორედ ამ მიზნით კვირეულის აქტიურად იყო გამოყენებული როგორც ადგილობრივი ისე რეგიონული მედია საშულებები.

იხილეთ გადაცემები სადაც ამომწურავად არის საუბარი იმაზე თუ რას წარმოადგენს თქვენი რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობა და რა უფლებებით სარგებლობა შეგიძლიათ.

https://www.youtube.com/watch?v=ptvg0O-UmyQ&feature=youtu.be

- https://www.youtube.com/watch?v=-772Hjx374o
- http://www.radiotavisupleba.ge/media/video/genderuli-ambebi/27281680.html
- https://www.youtube.com/watch?v=UETujLX-9A4
- http://www.radiotavisupleba.ge/media/video/one-hour-of-liberty-with-gogi-gvakharia-25-09-2015/27271198.html
- http://reportiori.ge/?menuid=3&id=78031

არაფორმალური განათლების სახელმძღვანელო

2015 წელს ასოციაცია ჰერა XXI-ემ არაფორმალური სახელმძღვანელო ,,ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში” შექმნა.

სახელმძღვანელო ორი ნაწილისგან შედგება

1) სქესობრივი,რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები;
2) ფსიქო-სექსუალური განათლება;

,,ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში” განკუთვნილია არაფორმალური განათლების ტრენერ, ახალგაზრდა მუშაკთათვის, რომლებიც ჩაატარებენ სესიებს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებთან დაკავშირებით. ადაპტირებული სახელმძღვანელო მოიცავს თითქმის ყველა თემას , რომელიც დაკავშირებულია ახალგაზრდების: სქესთან, სექსუალურ ჯანმრთელობასთან, HIV, სექსუალობასთან, ურთიერთობებთან, კომუნიკაციასთან, სექსუალურ სიმწიფესთან, რეპროდუქციასთან, კონტრაცეფციასთან ან ახალგაზრდების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხების სწავლებასთან. ის გამიზნულად მოიცავს ყველაფერს რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ, რათა განმანათლებელს მიეცეთ საშუალება აირჩიონ ის თემები და აქტივობები, რომლებიც აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნებს.

სახელმძღვანელოს პრეზენტაცია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა.

იხილეთ სახელმძღვანელო: http://hera-youth.ge/index.php?m=50&news_id=103

იურიდიული დახმარების სერვისი

2015 წელს ასოციაცია ჰერა XXI-ემ საქმიანობის სფერო კიდევ უფრო გააფართოვა. ასოციაციას კიდევ ერთი უფასო სერვისი დაემატა - იურიდიული ცხელი ხაზის სახით. ნებისმიერი პირი რომელიც თვლის რომ მისი უფლებები დაიღვა. შეუძლია დაგვიკავშირდეს ნომერზე: 570 10 17 11 (ცხელი ხაზი მუშაობს სამუშაო დღეებში 24 საათის განმავლობაში.) ასოციაციის იურისტი გასცემს რჩევებსა და რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში კი მოახდენს ზუსტ გადამისამართებას.

ვრცლად: http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=99

სამედიცინო სერვისები

რამდენიმე ასეულია იმ პაციენტების რიცხვი რომლებმაც 2015 წელს ასოციაცია ჰერა XXI-ეს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტითა და ონლაინ სერვისით ისარგებლეს.

ასოციაციის ექიმი - რეპროდუქტოლოგი მთელი წლის მანძილზე ჩვენს კაბინეტში მოსულ პაციენტებსა თუ კლიენტებს კვალიფიციურ კონსულტაციას უწევდა გინეკოლოგიის, გინეკოლოგიური ენდოკრინოლოგიის, გენეტიკის და კონტრაცეფციის საკითხებში. აწვდიდა ინფორმაციას ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდებზე, აწვდიდა ინფორმაციას თუ როგორ დაიცვან თავი სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისგან, თავიდან აეცილებინათ არასასურველი ორსულობა და დაუცველი სქესობრივი კონტაქტის პირობებში რომელი კონტრაცეფციის საშუალებები გამოეყენებინათ. ხოლო იმ პირებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ რეპროდუქციულ ჯანმრთელობის კაბინეტში სტუმრობას, ყოველ სამუშაო დღეს, უფასო ონლაინ კონსულტაციის სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდათ.

ორივე სერვისი 2016 წელსაც იფუნქციონირებს და ნებისმიერ მსურველს საშუალება ექნება მიიღოს, როგორც ონლაინ ასევე პირადი, მაღალკვალიფიციური კონსულტაცია-კონსულტირება- მეგობრულ და კონფიდენციალურ გარემოში.

ვრცლად იხილეთ: http://hera-youth.ge/index.php?m=58

საერთაშორისო დონეზე განხორციელებული აქტივობები

ოქტომბრის თვეში ქ. ჟენევაში ასოციაცია ”ჰერა XXI“-მ არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო ჯგუფთან (,,ჰერა XXI”, "თანადგომა", "იდენტობა" და "ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)") ერთად , გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) პრე სესიაზე ანგარიში წარადგინა.

ანგარიშში შესული საკითხები მრავალფეროვანია და მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები და უსაფრთხო აბორტზე ხელმისაწვდომობა, ადრეული ქორწინება,რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ განათლება, დისკრიმინაციას გენდერისა და სექსუალობის ნიშნით.

აღნიშნული აქტივობის მიზანი სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების (SRHR) დაცვის ხელშეწყობა და საერთაშორისო დონეზე მათი ადვოკატირება იყო. მიზნის განსახორციელებლად საკოორდინაციო ჯგუფი საადვოკაციო შეხვედრებსა და ღონისძიებებს, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ახორციელებს.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან და უფლებებთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლები მიერ გადაგმული ნაბიჯები

ნაადრევი ქორწინება

2015 წლის 26 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და მიიღო საქართველოს სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადების საფუძველზე მომზადებული კანონპროექტი. ცვლილების მიხედვით, 16–დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესი იცვლება იმგვარად, რომ ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება. ცვლილების საბოლოო დამტკიცებით, გაუქმდება დღეს მოქმედი მშობლის თანხმობის წესი, რომელიც პრაქტიკაში ძალიან ცუდ გავლენას ახდენდა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე.

წინადადების მომზადებას და პარლამენტისთვის წარდგენას საფუძვლად უდევს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ხანგრძლივი შესწავლის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და მტკიცებულებები. ასევე, საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და გენდერული თანასწორობის სფეროში წარმატებული ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა.

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის პრევენციის მიზნით 20-მდე კანონში ცვლილებება შევიდა

„ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ სტამბულის კონვენციის რატიფიკაციის მიზნით იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ცვლილებები შეიმუშავა. ცვლილებათა პაკეტი 20-მდე კანონს შეეხო.

განხორციელებული ცვლილებებიდან გამოვყოფთ ჩვენთვის როგორც რეპროდუქციულ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს:

აბორტის იძულებასთან ერთად, რომელსაც სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსი დანაშაულად განიხილავს, დასჯადი ხდება სტერილიზაციის იძულება.

იზრდება ქალთა მიმართ ძალადობრივი დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალი. ის მოიცავს ქმედებებს, რომლებიც მიმართულია მეუღლის ან ყოფილი მეუღლის, ან პარტნიორის მიმართ;

საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ნორმების მოქმედების სფერო ფართოვდება. ქალი დაცული იქნება არა მხოლოდ ოჯახურ სივრცეში, არამედ ოჯახის მიღმაც.

ფართოვდება სამედიცინო პერსონალისა და ადვოკატის უფლებამოსილებაც – ძალადობის ფაქტების შესახებ აცნობონ სამართალდამცველებს, რაც ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში იმოქმედებს. ცვლილებამდე ეს დათქმა მხოლოდ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან მიმართებაში არსებობს.

ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად ფართოვდება იმ პირთა წრე, ვისაც შეუძლია, სამართალდამცველებს მიაწოდოს ინფორმაცია ძალადობის ფაქტების შესახებ. ამის შესაძლებლობა ექნებათ საჯარო სკოლების მასწავლებლებს, დირექტორებს, მანდატურებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ პერსონალს. ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირება შეეძლებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსაც.

სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში: რეპროდუქციულ ჯანმრთელობა

- სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში 2016 წლის მარტის თვეში გამოქვეყნდება. 2015წლის გაზაფხულზე უჩა ნანუაშვილმა 2014 წლის ანგარიში გაასაჯაროვა. საპარალმენტო ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა რეკომენდაციებს რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებს. გთავაზობთ ამონარიდს ანგარიშიდან:
- რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები რეპროდუქციული ჯანმრთელობა მხოლოდ ქალებს არ ეხება. წყვილებს უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის, ძალადატანებისა და ძალადობის გარეშე თვითონ მიიღონ რეპროდუქციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.
- მსოფლიოში უამრავი ადამიანი ვერ სარგებლობს რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებებით, რაც ადამიანის სქესობრივი ცხოვრებისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ადეკვატური განათლების არქონით, სათანადო სამსახურების არარსებობით ან მათ მიერ გაწეული სერვისების უხარისხობით არის განპირობებული.
- შემთხვევითი სექსუალური კავშირები ასევე შეიძლება რისკის შემცველად ჩაითვალოს, რომელიც რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებას აკნინებს. განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ მოზარდები, რომლებიც ფაქტობრივად დაუცველნი არიან, რადგან მათ ინფორმაციასა და შესაბამის მომსახურებაზე ხელი არ მიუწვდებათ. საქართველოში მოსახლეობის ცნობიერების დონე, რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობისა და უფლებების კუთხით, საკმაოდ დაბალია. მოზარდებში არასასურველი ორსულობის, მისი შეწყვეტისა და შემდგომ წარმოქმნილი პრობლემების გახშირებული ფაქტები, სწორედ, ინფორმაციისადმი დაბალ ხელმისაწვდომობას, საზოგადოებაში სქესობრივი და რეპროდუქციული უფლებების შესახებ განათლების დაბალ დონესა და გენდერულ თანასწორობაზე გავრცელებულ უარყოფით შეხედულებას უკავშირდება.
- აღსანიშნავია ისიც, რომ საინფორმაციო კამპანიები, მეტწილად, დიდ ქალაქებში ტარდება და რეგიონებში ნაკლებად აღწევს ინფორმაცია. ამასთან, რთულია ინფორმაციის სრულად გავრცელება, რადგან ცნობიერების ამაღლების კამპანიებზე, ძირითადად, არასამთავრობო ორგანიზაციები მუშაობენ და მათ არ აქვთ შესაბამისი რესურსი, რომ ყველა რეგიონი დაფარონ.
- ინფორმაციული ვაკუუმი ყველაზე მეტად ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გვხვდება.
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების თანახმად, 1995-2009 წლების განმავლობაში საქართველოში კონტრაცეპციის (მათ შორის თანამედროვე მეთოდების) გავრცელების დონე მატულობდა და 2010 წელს ამ მაჩვენებელმა 32% შეადგინა. კონტრაცეპციის გამოყენების მაჩვენებლის ზრდა, ძირითადად, თანამედროვე მეთოდების გამოყენების ზრდით (8.9%-ით) იყო განპირობებული.

ვრცლდა იხილეთ: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2439.pdf

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ წლის მნიშვნელოვანი მომენტები შეაჯამა და ახალი რეკომენდაციები წარმოადგინა. მათგან რამდენიმე რეპროდუქციულ ჯანმრთელობასაც ეხებოდა. კუბა მსოფლიოში პირველი ქვეყანა გახდა, რომელმაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აღიარებით, აივ ინფექციისა და სიფილისის დედისგან ბავშვზე გადაცემა აღმოფხვრა. ეს მაგალითი ცხადყოფს, რომ ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობითა და ანტირეტროვირუსული მედიკამენტების დახმარებით, ორსულობის, მშობიარობისა და ძუძუთი კვებისას აივ ინფექციის გადადების რისკის შემცირება 15-45%-დან 1%-მდეა შესაძლებელი.

- რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა ორსულობისა და მშობიარობისას ქალთა პრევენცირებადი სიკვდილიანობის აღმოფხვრას ეხება. მართალია, ამ მიზეზით ქალთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ბოლო 25 წლის მანძილზე განახევრდა, მაგრამ ყოველწლიურად მსოფლიოში 300 000-მდე ქალი კვლავ იღუპება ორსულობასთან დაკავშირებული გართულებებით. ამ შედეგის თავიდან აცილება ხარისხიან ჯანდაცვასა და ოჯახის დაგეგმვის მეთოდებზე ხელმისაწვდომობითაა შესაძლებელი.

აქედან გამომდინარე, 2030 წლისთვის მიზნად იქნა დასახული დედათა სიკვდილიანობის თავიდან აცილებადი შემთხვევების აღმოფხვრა.

ვრცლად: http://www.who.int/features/2015/year-review/en/

World Health Organization

მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაცია IPPF

მომავალ მშობელთა საერთაშორისო ფედერაცია (IPPF) სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების ყოველწლიური შეჯამებას გამოაქვეყნა.

სიახლეები შემდეგ თემებს მოიცავს: აბორტი, ადვოკატირება, გენდერული თანასწორობა, კონტრაცეფცია, აივ ინფექცია და შიდსი, ჰუმანიტარული კრიზისები და პროგრამები, სექსუალური უფლებები, ქალთა ჯანმრთელობა, მოზარდები და ახალგაზრდები.

ფედერაციის გლობალურ ანგარიშში მოხვდა წევრი ასოციაციების მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული ღონისძიებები. ბევრი მათგანი ეხება რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების საკითხებში მთავრობების მონაწილეობის მნიშვნელობას. ასევე, ახალგაზრდების ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სტიგმისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემებთან ეფექტურად საბრძოლველად და სხვა.

ვრცლად: https://flipboard.com/@ippf/federation-news-m17qdb4fy?utm_campaign=widgets&utm_medium=web&utm_source=magazine_widget

მადლობა ყურადღებისთვის